ხელშეკრულება № 31

ქ. გურჯაანი 1 ნოემბერი 2011 წელი.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით.

1.ხელშეკრულების მხარეები:

1.1.ერთის მხრივ სოფ. ჭანდრის საჯარო სკოლის დირექტორი მანანა მჭედლიშვილი, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „შუქური მელითაური-სასკოლო ინვენტარი“, შემდგომში „მიმწოდებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1. სამშენებლო მასალების შესყიდვა:

1) ფიჭვის ხის 1 ცალი ყრუ კარები, შეღებილი, საკეტთან და ანჯამებთან ერთად – 1.47მ^2

2) ლითონის 1 ცალი ყრუ კარები სახელურებთან და ანჯამებთან ერთად, საკეტი მოწყობილობით, შეღებილი ზეთოვანი საღებავით – 1.89მ^2

3) 4 მმ-იანი ფანჯრის მინების დაჭრა მოცემული ზომების მიხედვით, ლითონის კარკასზე მინების დასამაგრებელ ზოლოვანებთან ერთად – 35მ^2

აღნიშნული მასალების დატვირთვა-ტრანსპორტირება- დასაწყობებით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ნაკისრი მოვალეობები.

3.2 შემსყიდველი ვალდებულია მიღებისთანავე შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი და შეადგინოს შესაბამისი დოკუმენტი შესრულებული სამუშაოს მიღებაზე და აანაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია:

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული მასალები იქნება მაღალხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს;

4.2. გარანტია მოქმედებს ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს მისი გამოსწორება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:

5.1. შემსყიდველის მიერ საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტებით.

6. სახელშეკრულებო ფასი და ანგარიშსწორების ფორმა:

6.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 1600.00 (ათას ექვსასი) ლარს.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად , უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით (ლარებში).

7. შესყიდვის ობიექტისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

7.1. ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.
7.2. ხელშეკრულება წყდება:
– მოქმედების ვადის გასვლისას;
– სასამართლოს მიერ ხელშეკრულების გაუქმებულად ცნობის დროს;

8. ფორს-მაჟორი:

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ განიხილება როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად ან დარღვევად;

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისთვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:

10.1. თუ ხელშეკრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა:

11.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო:

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობით შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან;

12.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4. ამ მუხლის მესამე პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა:

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 /ოცდაათი/ დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადავო საკითხის მოგვარებას შეთანხმებით, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესისდა მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14. დამატებითი პირობები:

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

15.1. **შემსყიდველი:**

სოფ. ჭანდრის საჯარო სკოლა. ს/კ 227752223, „ლიბერთი ბანკის" გურჯაანის ფილიალი, ბანკის კოდი: LBRTGE22, ანგარიშსწორების ანგარიში: 34089453

15.2. **მიმწოდებელი:**

ი/მ „შუქური მელითაური–სასკოლო ინვენტარი". ს/კ 01005013739, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშსწორების ანგარიში: 34087334.

ვადასტურებთ:

სოფ. ჭანდრის საჯარო სკოლის დირექტორი:	ინდ. მეწარმე „შუქური მელითაური-სასკოლო ინვენტარი":
მანანა მჭედლიშვილი	შუქური მელითაური
----------	----------